ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4363950

ნომერი: AR1657490

თარიღი : 25.01.2019

გაცემის თარიღი : 06.02.2019

გაცნობის თარიღი : 06.02.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯოხაძე პ/ნ 18001022138
- ფანასკერტელ-ციციშვილის 6, ბ 195

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი, 2019 წლის 25 იანვრის AR1657490 განცხადება, რომლითაც ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას. სამსახურში არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 31 აგვისტოს №4143772 ბრძანებით, მიწის ნაკვეთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, დ. უზნაძის ქ. N14-ში (საკადასტრო კოდი: #01.16.05.001.011) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებელი ითხოვს 2018 წლის 31 აგვისტოს №4143772 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და საპროექტო ობიექტის ფუნქციად მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ნაცვლად სასტუმროს დაფიქსირებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის, საპროექტო შენობის სავარაუდო ტექ. ეკონომიკური მაჩვენებლების და ჩაშლილი ფუნქციების მიხედვით საპროექტო ობიექტი (სასტუმრო, სასტუმროს ტიპის აპარტამენტი, კომერციული) ინარჩუნებს მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ფუნქცია/დანიშნულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება 2018 წლის 31 აგვისტოს №4143772 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.